მწვანე ალტერნატივის შენიშვნები და კომენტარები

ლაქ-საღებავი მასალების (ლსმ) საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის
საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებული
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

5 მაისი, 2014 წ.

წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივის შენიშვნებსა და კომენტარებს ლაქ-საღებავი მასალების (ლსმ) საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომში - გზშ) ანგარიშის თაობაზე.

განსახილველად წარმოდგენილი გზშ ანგარიშის ნაკლოვანებების თვალსაჩინოებისათვის, ქვემოთ მოცემულია ცხრილი, სადაც ნაჩვენებია გზშ ანგარიშში ასახული ინფორმაციის შესაბამისობა **საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის #31 ბრძანებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების (შემდგომში - დებულების) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის** მოთხოვნებთან. ცხრილის პირველ სვეტში მოცემულია დებულების მოთხოვნები, მეორე სვეტში კი, დებულების მოთხოვნასთან შესაბამისობის მდგომარეობა, ჩვენი შენიშვნით/კომენტარით.

დებულების თანახმად, გზშ ანგარიში უნდა მოიცავდეს	**გზშ ანგარიშის შესაბამისობა დებულების მოთხოვნებთან**
(ა) გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზს	<u>**აკმაყოფილებს**</u>
(ბ) საქმიანობით გამოწვეული ზეგავლენის წყაროების, სახეებისა და ობიექტების დადგენას	<u>**ნაწილობრივ აკმაყოფილებს**</u> გზშ ანგარიშში ნათქვამია, რომ *„შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საწარმოს ფუნქციონირების შედეგად უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვარზე ხმაურის დადგენილი ნორმების გადაჭარბების რისკი მინიმალურია და შესაბამისად ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება არ ჩაითვალა სავალდებულოდ.მიუხედავად აღნიშნულისა, მომსახურე პერსონალზე ხმაურის ზემოქმედების მინიმიზაციის მიზნით, საჭირო იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება“.* გამომდინარე იქედან, რომ გზშ ანგარიშში არ არის ნათლად განხილული თუ რა ტექნოლოგიებზეა საუბარი, ზემოთ მოცემული ინფორმაცია კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.
(გ) გარემოს მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი	<u>**არ აკმაყოფილებს**</u>

მახასიათებლების ცვლილებების პროგნოზს	
(დ) საქმიანობის შედეგად შესაძლებელი ავარიული სიტუაციების ალბათობის განსაზღვრასა და მათი მოსალოდნელი შედეგების შეფასებას	<u>აკმაყოფილებს</u>
ე) დაგეგმილი საქმიანობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასებას	<u>მეტწილად არ აკმაყოფილებს</u> საერთოდ არ არის შეფასებული ეკონომიკური შედეგები. ხმაურთან დაკავშირებული შენიშვნა იხილეთ ზემოთ.
ვ) გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისა და თავიდან აცილების გზებს, საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრას	<u>ნაწილობრივ აკმაყოფილებს</u> დოკუმენტის 5.8 ქვეთავში ნათქვამია, რომ *„გარემოზე ზემოქმედების შეფასებამ აჩვენა უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვარზე მავნე ნივთიერებების და ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია დაკავშირებული არ არის მნიშნელოვანი რაოდენობის სატრანსპორტო ოპერაციების შესრულებასთან, შესაბამისად უსაფრთხოების რისკი მინიმალურია“.* _ ანგარიშის ეს ნაწილი არ არის გამყარებული სათანადო მონაცემებით.
ზ) ნარჩენი (კუმულატიური) ზეგავლენის, მისი კონტროლისა და მონიტორინგის მეთოდების განსაზღვრას	<u>აკმაყოფილებს</u>
(თ) პროექტების ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასების ჩატარებას	<u>არ აკმაყოფილებს</u>
(ი) პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობის, ასევე დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიის ალტერნატივების განსაზღვრას	<u>არ აკმაყოფილებს</u>
(კ) სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრას	<u>მეტწილად არ აკმაყოფილებს</u> აღნიშნული საკითხი მე-8 თავშია მოცემული და ზოგადაღწერილობითია. გზშ ანგარიშის ამ ნაწილში წარმოდგენილი ინფორმაცია არ მოიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს.

(ლ) საზოგადოების ინფორმირებასა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლას	<u>აკმაყოფილებს</u>
(მ) პროექტის განხორციელების შემდგომ სიტუაციის ანალიზის გეგმას	<u>არ აკმაყოფილებს</u>
(ნ) მოსალოდნელი ემისიების სახეობებისა და რაოდენობის დადგენას	<u>აკმაყოფილებს</u>
(ო) დაგეგმილი საქმიანობიდან გამოწვეული რისკების ანალიზს (მშენებლობის ან/და ექსპლუატაციის ეტაპზე)	<u>არ აკმაყოფილებს</u> ინფორმაცია ამ საკითხზე გზშ ანგარიშის სხავადასხვა ნაწილშია გაბნეული, ზედაპირულია და არ იძლევა შეფასების შესაძლებლობას.
(პ) დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიური ციკლის აღწერას (მათ შორის – დანადგარის საპასპორტო მონაცემები)	<u>ნაწილობრივ აკმაყოფილებს</u> დოკუმენტში აღწერილია მხოლოდ ტექნოლოგიური ციკლი, თუმცა არ არის მოცემული დანადგარის საპასპორტო მონაცემებს.
(ჟ) გარემოზე დადგენილ ზემოქმედებათა ფაქტორების შედეგად მიღებული გარემოს მოსალოდნელი მდგომარეობის პროგნოზს	<u>არ აკმაყოფილებს</u>
რ) საქმიანობის განხორციელებისა და მიმდინარეობის ეტაპისათვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების შემუშავებას, სადაც გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი უსაფრთხოების თვითმონიტორინგის პროგრამა	<u>აკმაყოფილებს</u>